სამედიცინო დაწესებულების ხარისხის შეფასება და უზრუნველყოფა

რუსუდან პატარიძე

გიორგი ფირცხალაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი"

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მედიცინის აკადემიური დოქტორი თენგიზ ვერულავა;

დოქტორანტი თემური ბარკალაია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

რუსუდან პატარიძე

გიორგი ფირცხალაიშვილი

14.06.2014

აბსტრაქტი

კვლევა ეხება საქართველოში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში ხარისხის მართვის სამსახურების სამუშაო პროცესს. კვლევის აქტუალობა გამოწვეულია სამედიცინო მომსახურებისა და პაციენტების კმაყოფილების დაბალი დონით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ხარისხის მართვის სამსახურების პრობლემების გამოვლენა და მათი აღწერა. გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუირებისა და სამუშაო პროცესზე დაკვირვების მეთოდოლოგია, რამაც გამოავლინა ხარისხის მართვის სამსახურების მუშაობა სხვადასხვა ასპექტებში. კვლევის შედეგად დავასკვენით, რომ ხარისხის მართვის სისტემა არ არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მუდმივად უნდა იყოს მართვადი და უზრუნველყოფდეს დასახული გეგმის მიხედვით პერფორმანსის გაუმჯობესებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხარისხი, სამედიცინო დაწესებულების ხარისხი, ხარისხის მართვა, ხარისხის სამსახურის შეფასება.

მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ დოქტორანტს, თეიმურაზ ბარკალაიას და ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, ბატონ თენგიზ ვერულავას.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდით სსიპ „ხარისხი ჯანდაცვის სერვისებში“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ნატალია კალანდარიშვილს; ავერსის კლინიკის ხარისხის კონტროლისა და მართვის სამსახურის უფროს-სპეციალისტს, ტრეინინგ-ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნინო ბუზარიაშვილს; უნივერსალური სამედიცინო ცენტრის ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსს თამარ ცინცაძეს; წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს დირექტორს ბეჟან მაისურაძეს; შპს „მედიქალ პარკი საქართველოს“ სამედიცინო დირექტორს ქეთევან გოგოლაძეს.